



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის**

ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი

06. 02. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება -მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ხელფასების მოწესრიგებას, რომლის მიხედვითაც რიგ თანამშრომლებზე მოხდება თანამდებობრივი სარგოს ოდენობების გაზრდა. კერძოდ, პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1700 ლარით და მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) - 900 ლარის ოდენობით. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა ასახულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძე** აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა გარკვეული შენიშვნები. კერძოდ, საკრებულოს წევრები ეთანხმებიან აპარატის უფროსის და მთავარი სპეციალისტების ხელფასების მოწესრიგებას, მაგრამ თხოვნით მიმართავენ მუნიციპალიტეტის მერს, რომ მიმდინარე წელს სპეციალისტების ხელფასებიც მოწესრიგდეს, რადგან საუბარია მხოლოდ 28000 ლარზე.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, 100 ლარიანი მატების შემთხვევაში თანხა შეადგენს 56000 ლარს. 28000 ლარი გათვლილი იყო უშუალოდ მხოლოდ საკრებულოსა და მერიაში დასაქმებულ წამყვან სპეციალისტებზე, მაგრამ მათ გარდა, სოფლებში მერის წარმომადგენლებსაც ყავთ სპეციალისტები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა კალკულაცია, რომლის მიხედვითაც საუბარი იყო 28000 ლარზე და იგი გულისხმობდა წამყვანი სპეციალისტებისთვის არა 100 ლარიან, არამედ 50 ლარიან მატებას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას დაიწყო საკითხის ირგვლივ საუბარი. მისი თქმით, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად კვლავ გაგრძელდება ამ კუთხით მსჯელობა და მუშაობა, რათა აღნიშნული რანგის თანამშრომლებთან მიმართებაშიც განხორციელდეს ანალოგიური ღონისძიება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიისა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ აღნიშნული საკითხი უახლოეს მომავალში მოგვარდება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა დადგენილება N3 (06.02.2020)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) უფროსმა **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ხელფასების მოწესრიგებას, რომლის მიხედვითაც რიგ თანამშრომლებზე მოხდება თანამდებობრივი სარგოს ოდენობების გაზრდა, კერძოდ, მერის მოადგილის თანამდებობრივი სარგო

განისაზღვრება 1800 ლარით, სამსახურის უფროსის -1700 და მთავარი სპეციალისტის- 900 ლარის ოდენობით. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა ასახულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გააჩნიათ იგივე შენიშვნები, რაც პირველი საკითხის განხილვისას გამოითქვა.

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავამ** მოხსენებელს თხოვა დაეკონკრეტებინა იმ სამსახურის უფროსები, რომელთაც შეეხებათ თანამდებობრივი სარგოს ოდენობების ზრდა. ამასთან, გამოდის, რომ წესდება ზედა ზღვარი - „ჭერი“, რის საშუალებასაც იძლევა კანონმდებლობა.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის(ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) უფროსმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას ყავს ათი სამსახური და კანონმდებლობის შესაბამისად, ათივეს ერთნაირად განესაზღვრებათ სახელფასო მატება. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ზედა ზღვარს, აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით, რადგან ზოგიერთი მუნიციპალიტეტის, მაგალითად ზუგდიდის ხელფასებს ვერ შეედრებიან.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი კახა თევდორაძე.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ყველა სხვა მუნიციპალიტეტში საკრებულოს თანამდებობის პირებისა და მერიის თანამდებობების პირების-სამსახურის უფროსების - ხელფასები არის ერთნაირი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მერიის სამსახურის უფროსებს ქონდათ გაცილებით დაბალი სახელფასო სარგო, ვიდრე საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში მოხდება მათი ხელფასების მოწესრიგება ანუ გათანაბრება.

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავას** განცხადებით, მუნიციპალიტეტში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელის საშუალო ხელფასი შეადგენს 316 ლარს, ხოლო რიგითი აღმზრდელის-216 ლარს, მაშინ როცა მათ დილიდან საღამომდე აბარიათ ბავშვების მოვლა-პატრონობა და აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა. ის ასევე შეეხო ბიბლიოთეკებში დასაქმებულ ადამიანებს და აღნიშნა, რომ მათი შრომის ანაზღაურება არ აღემატება 200 ლარს. ამ მხრივ თითქმის, ანალოგიური მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის დანარჩენ ა(ა)იპ-ებშიც. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ არ საუბრობს დაბალი რანგის და ჩვეულებრივ სპეციალისტებზე, მაგრამ მორალურად გაუმართლებლად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში მხარი დაუჭიროს მერიის სამსახურის უფროსებისთვის სახელფასო სარგოს მატებას. გარდა ამისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში ძალიან კრიტიკულია, რომლის საფუძველზეც მერიის ზოგიერთი სამსახურის უფროსის ხელფასის მატების ნაცვლად, სათანადო პასუხი უნდა მოეთხოვოს, მით უმეტეს, რომ სამსახურის უფროსი ასევე პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირიცაა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის ადამიანები, რომელთა ხელფასების მოწესრიგებაზეცაა საუბარი, იმსახურებენ შრომის ანაზღაურების

მატებას. მაგალითად, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი 24 საათის განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობს, მაგრამ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეზე მცირე ხელფასი აქვს. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, საკრებულოს წევრი პრაქტიკულად არასწორ ინფორმაციას ფლობს და მასთან პოლემიკაში არ შევა.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე პასუხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ მიმდინარე წლის იანვრის სხდომებზე დასმული საკითხი საკრებულოს თანამდებობრივი პირებისა და სპეციალისტების ხელფასების მატების შესახებ ვერ განიხილება შესაბამისი რესურსების უქონლობის გამო. კერძოდ, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში, ასევე, ა(ა)იპ-ებში არ განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, აღნიშნული სამსახურის მოსაზრებით, ხელფასების ზრდა შეუძლებელია.

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავას** თქმით, მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს თავისი ვადის ბოლო წელს გაახსენდა, რომ ა(ა)იპ-ებში რეფორმებია გასატარებელი, რის შემდეგაც მოხდება შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში სავალალო მდგომარეობის გამოსწორება. დეპუტატს მიაჩნია, რომ 120 ლარიანი ხელფასი არის ჩვეულებრივი შემწეობა, რადგან თუ ასეთი თანამშრომელი საჭირო არ არის, უნდა გაუშვან და გამოთავისუფლებული თანხა დაუმატონ სოციალურ პაკეტებს. მისთვის სრულიად გაუგებარია, რას ემსახურება და რა დატვირთვა აქვს ასეთ შტატებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა საკრებულოს წევრს, რომ მან აბსოლუტურად სხვა თემაზე გააგრძელა საუბარი და საკითხებს ერთმანეთთან არანაირი შეხება არ აქვს. გარდა ამისა, რეორგანიზაცია არ ნიშნავს ვინმეს შემცირებას ან ვინმეს დამატებას, არამედ რეორგანიზაცია შესაძლებელია ამ ღონისძიებების გარეშეც განხორციელდეს. ა(ა)იპ-ებში შეიძლება არ არის მაღალი ხელფასები, მაგრამ ეტაპობრივად მოხდება საკითხის დარეგულირება.

საკრებულოს წევრს, **დავით ჩხარტიშვილს** მიაჩნია, რომ გარკვეული უსამართლობა ხელფასებთან მიმართებაში მართლა არსებობს, რასაც ყველა აღიარებს. მას არ გონია, რომ ის მცირე ცვლილება, რაც ხელფასების გასათანაბრებლად ხორციელდება, ამ მხრივ რაიმეს შველის ან გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, მომავალში ნამდვილად სამუშაოა ამ კუთხით, რათა ბაღის ხელმძღვანელს თუ რიგით თანამშრომელს ქონდეთ ღირსეული შრომის ანაზღაურება, რადგან ისინი აკეთებენ კოლოსარულ საქმეს და თითქმის ყოველდღიურად იმყოფებიან მძიმე წნეხის ქვეშ როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ამასთან, საკრებულოს წევრის თქმით, ისე არ არის საქმე, თითქოს მხოლოდ ერთ ან ორ დეპუტატს ტკიოდეს ეს საკითხი და დანარჩენს გულთან არ მიჰქონდეს. პირიქით, პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება“-ს წარმომადგენლებს ბევრი საფიქრალი აქვთ და ყოველთვის საუბრობენ ამ თემის შესახებ. საკრებულოს წევრი დარწმუნებულია, რომ აუცილებლად მოხერხდება და გამოინახება გზები პრობლემის დასარეგულირებლად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (კახაბერ ასკურავა, იოსებ ჩხაიძე).

მიღებულ იქნა დადგენილება N4 (06.02.2020)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მისი განმარტებით, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 იანვრის N76 განკარგულების საფუძველზე 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3941050 ლარი, თანადაფინანსებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 207620 ლარი ანუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიიმართება 4148670 ლარი, აქედან ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაციაზე 642025 ლარი, მათ შორის 610000 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, 32025 ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ქალაქ ლანჩხუთში 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობაზე 1189492 ლარი, მათ შორის 1130017 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, 59925 ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე 254979 ლარი, მათ შორის 242230 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 12749 ლარი. ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ მაგისტრალზე გარე განათების მოწყობაზე 142486 ლარი, მათ შორის 135361 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 7125 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 1070556 ლარი, მათ შორის 1016768 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 53788 ლარი. საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათების და ეზოს კეთილმოწყობაზე 553342 ლარი, მათ შორის 506674 ლარი ფონდიდან გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 26668 ლარი. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციაზე 315790 ლარი, მათ შორის ფონდიდან გამოყოფილი 300000 ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 15790 ლარი.

გვიმზალაურის, ღრმაღელის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან მიიმართოს 260647 ლარი, მათ შორის ფონდიდან გამოყოფილი 214583 ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 46064 ლარი. ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანია ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციაზე ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან მიიმართოს 82653 ლარი, მათ შორის ფონდიდან გამოყოფილი 80653 ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N2010 განკარგულებით განსახორციელებელი პროექტი (მაჩხვარეთის, შუხუთის, ჩიბათის, ნინოშვილის, ჩოჩხათის, ღრმაღელის, აცანის, ლესის, ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობაზე ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან მიიმართოს 3001 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიასა და შემსრულებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად გარანტიის სახით დაკავებული თანხების დადგენილი წესით შემსრულებელზე ჩასარიცხად მიიმართოს ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან 35222

ლარი. მათ შორის 2018 წლის 17 აგვისტოს მთავრობის განკარგულებით სტიქიით განსახორციელებელი შიდა გზების რეაბილიტაციაზე 9476 ლარი, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციაზე 2177 ლარი, არსებული ნაშთიდან განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე მიიმართოს 140180 ლარი.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთიდან თანადაფინანსებაზე მიიმართოს 7160 ლარი.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაწეული ზედამხედველობის ხარჯი ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან მიიმართოს 60000 ლარი.

კომპიუტერების შეძენის აუცილებლობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება 8000 ლარით. მ/ხარჯები დაფინანსებული იქნეს თავისუფალი ნაშთის ანგარიშზე.

საკრებულოს წევრის **იოსებ ჩხაიძის** განმარტებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის დასკვნა ძალიან საგანგაშოა. მასში პირდაპირ მითითებულია, რომ არის მრავალმნიშვნელოვანი ხარვეზები, მაგრამ მუნიციპალიტეტის მესვეურების მიერ ჯერ-ჯერობით არანაირი განმარტება არ გაკეთებულა იმის შესახებ, რა და როგორ კეთდება, თანხების მიმართვა იგეგმება თუ არა სწორად და სხვა. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრს ძალიან არ უნდა ხელი შეუწყოს ფინანსების არასწორ და არამიზნობრივ ხარჯვას, ამიტომ წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს.

გარდა ამისა, საკრებულოს წევრის განცხადებით, უკვე მერამდენედ გამოთქვამს შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც განიხილავენ ბიუჯეტში ცვლილებას ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში, საკითხში ზოგადაა ჩამოთვლილი, თუ რა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება. საკრებულოს წევრებმა არ იციან სად და რომელ ქუჩაზე ტარდება ესა თუ ის სამუშაოები, რადგან ამის შესახებ არ აქვთ ელემენტარული ინფორმაცია. დეპუტატის თქმით, შეიძლება პროექტში მითითებულ ქუჩაზე უფრო მნიშვნელოვანი და დაზიანებული სხვა ქუჩა ეგულებათ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ პროექტები განსახილველად მოვიდეს მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული სახით.

საკრებულოს წევრი, **დავით ჩხარტიშვილი** დაინტერესდა პროექტის მიხედვით შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული თანხა უკვე განაწილებულია თუ შემდგომ მოხდება გადანაწილება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით ეს არის საწყისი ეტაპი. ყველა პროექტთან დაკავშირებით, გარდა სპორტული აკადემიის დასრულებისა, რაც გულისხმობს გარე განათების მოწყობას, ტენდერები გამოცხადებულია და უკვე თებერვლის ბოლოსთვის ან მარტის დასაწყისში გაფორმდება ხელშეკრულებები. თანადაფინანსებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 207620 ლარი ანუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიიმართება 4148670 ლარი. რაც შეეხება ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულს, 2020 წელს ხორციელდება შიდა სასოფლო გზის

რეაბილიტაციის სამუშაოები და ასევე, პროექტში ნამდვილად არის ნიგვზიანთან შემაერთებელი გზა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (კახაბერ ასკურავა, იოსებ ჩხაიძე).

მიღებულ იქნა დადგენილება N5 (06.02.2020)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო